



არსენალი

73
საქართველოს
არსენალი

22 (143). 28 თებერვალი-10 ნოემბერი, 2011 წ. საბერძნეთ-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

ქართულ „კობრას“
მოსკოვში ისევ მსვრიან...

ივანიშვილის
შეუღებობები

1425
2011



ქადავის „სტრელები“ მთელ მსოფლიოს დაეხმარება



რუსული
დაჯავშნული
მანქანები

30



იარაღი
ქლარანი
საქართველოს
საზღვრებთან

13



შავი ზღვა
დაპირისპირების
არეალი ხდება

7

„კროკოდილების“
ეპოლეზია



49



100 დიდი
მხედართმთავარი
ალაჩის I

47

საფანგის თოფი
ავგოგაგის ლულის ქვეშ



53



სარჩევი

- 4 სახმადრო სიხსლავები **კალენოსკოპი**
- 7 შავი ზღვა ღაპირისნიკების არაპალი სღვაბ **სტრატეგიული გითვლა**
- 9 მიწაული კაღაუის „სტრალევი“ ვითელ მსოფლიოს ღაღვპერება **კენდორას ყუითი**
- 11 ივანიშვილის შვეულფრენები **ქართულ საუთი**
- 13 ანტიტერორისტული სნაღვლება თუ ისე იარაღის ქვარენი? **საფრთხე**
- 16 სტალინ-გერინას აგვანება ქართულ ეთიკასით **საესსამსახურების არქივიდან**
- 20 „ანსარ ელ-ილავი“ – სღვაბ ზუსიონის იღვანის ვრთხული ქართი ზავაგითავი **ტერორისტული ორგანიზაციები**
- 24 კავკასიური მიწვლანვის მიოხილვა... **რეგიონი**
- 26 ქართულ Cobra-ს მოსოვში ისე ანკინან... **ოგაგოვილი**
- 30 ჯავანანტომოგოილები ღა გორბლეგინი ჯავანანტრანსპორტირება **განკვეთილი ქვენები**
- 35 ნიღარლანღების სავითაული ოგარასითვის სავღვი კღვები **სავანაყუფები**
- 38 პირველი ქართული სავრძოლუ კავარება **ქართული ფლოტი**
- 41 რავაგები სნავირის ღვასავად **ინოვაციური ტექნოლოგიები**
- 44 ქარაბე ჯარისსავებში ვებრძოლ სულს აღვიგებს **მოსაზრება**
- 47 აღარის I **100 დიღი გეღვარეთითავარი**
- 49 „ქრომოლიგინ“ ევოლუსია, ანუ რა გეღვლინ Mi-35M-ს... **გიოთხველის გვარღი**
- 53 სავანგის თოფი ავოგავის ლღის ქვე **„არსნელის“ იარაღის გღვანი**

კალენოსკოპი

„ეინც ჩვენს მოქალაქეებს ხელყოფს, კბილებში მუშტს მიიღებს“, — ასე გავიხატა გასულ კვირას მეზობელი დიდი ქვეყნის პრეზიდენტმა თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და თან დაიტრატა, რომ რუსეთის 1 მლნ-იანმა არმიამ 2008 წელს საქართველოსთან ომში დასახულ ამოცანას თავი კარგად გაართვა.

საქართველოს სავღვრების ახლოს კი სავხედრო სწვლებები ერთმანეთს ენაცვლება და სავხედრო ძალის დემონსტრირებით მეზობელ ქვეყნას საქართველოს პროღასღვლური კურსის მოსკოფურთი შეცვლის იმედი აქვს.

ასეთ ვითარებაში ვეღვანე მოგეღვინია შვეიღობიანი პოლიტიკა და მათ შორის — ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სავოლოდ დარეგულირების საკითხი.

მოგარი რეღვქტორი ირავლი აღვღვმილი რეღვქტორი თემურ ჩანინიძე კომიუტერული უბრუნეღვლოღა ღატიო მისინავიღი

შვრღვღვღა!
გამოიშორეთ „არსენალი“ ღა მიღვთი შიგ, ორ კვირავი მრთხელ! ტღვლ: 238-26-74; 238-26-73

რეღვქციის ღავიღვსავღ მასღვგის გღვავგღვავ აბრავღვღღი

გღვღვღვღი ღვსავგღვღვღ 24.10.2011

გავთი „კვირის კალიტრის“ ღვგავღვღღ
რეღვქციის მისავრთი: თიღვისი, ორსავიძიძი ქ. N49 ტღვლ: 238-83-07 (121)

სარეღვღვღ გავოფიღვღ: ტღვლ: 237-78-07; 238-78-70
E-mail: arsenal@kvispalitra.com
შვრღვღი გავოღის ორ კვირავი მრთხელ აბრავგღვღ



გერმანულმა აირაკველი სუბილოტო Euro Hawk-ი მიიღეს



ევროპულმა სამხედრო-სამრეწველო კომპანია Cassidian-მა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებს პირველი ხუთი უბილოტო საფრენი აპარატი Euro Hawk-ი გადასცა. უბილოტოები გერმანიაში აშშ-დან ჯერ კიდევ ზაფხულში ჩაიტანეს და დამატებითი მოწოდებებით აღჭურვეს.

გერმანელებმა ახალ უბილოტოებს მომავალ წელს კომპანია „კასიდიანთან“ ერთად გამოცდიან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ მას შეიარაღებაში.

აპარატი Euro Hawk-ი გერმანულთა ინტერესის გათვალისწინებით, ამერიკული უბილოტო RQ-4 Global Hawk Block 20-ის ბაზაზე შეიქმნა. უბილოტოს გერმანული ფრისა ამერიკულისგან რადიოტექნიკური დაზღვევის აღჭურვილობით განსხვავდება. ამასთან, Euro Hawk-ის მიწიდან სამართავ კომპლექსში ინფორმაციის გადასამუშავებელი აპარატურა სწორედ კომპანია „კასიდიან-ის“ შექმნილია.

მოსაგებთლავ სივრცელი „სუპერგმირი“ ქუჩას დაუბრუნდა

სიეტლელი თვითმარქვია სუპერგმირი, მტკსახელად ფენიქს ჯონსი, მოქალაქეებზე თავდასხმის საქმეზე სასამართლოს წინაშე წარდგა და მისდა ვასახარად, მართლმსაჯულებამ მისთვის ბრალის წყვეტა არ იქმარა და საქმე ხანგრძლივი განხილვისთვის გადადო.

ახლანდელთა, რომ „გმირი ფენიქსი“ სასამართლოს შერთამაც თავისი საფრთხი შვ-ოქროსფერი კოსტიუმითა და ნიღბით გამოცხადდა, თუმცა „გმირს“ სასამართლო დარბაზში სახის გამოჩენა მოსალოდლევა მოთხოვნიტ მინც მოუხდა.

სასამართლო დარბაზიდან გამოსული 23 წლის სუპერგმირი ფურნალისტებთან მუსაიფის ხასი-

ათზეც მოვიდა და განაცხადა, რომ გადაწყვეტილებით კმაყოფილია, რადგან თანამოაზრებებთან ერთად სიეტლის ქუჩების პატრულირებას კვლავ შეუძლებს.

„სიეტლელი სუპერგმირი“, რომლის სახელი და გვარია ბენჯამინ ჯონ ფრენსის ფოლორი, 9 ოქტომბერს პოლიციამ მამის დააკავა, როცა მიჩხუბართა გამველებსას აეროზოლი გამოიფინა. ფენიქსი სამართალდამცელებმა დაკავებიდან 7 საათის შემდეგ, 3.800 დოლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

სუპერგმირი და მისი გუნდი სიეტლის ქუჩებში 2010 წლიდან „პატრულირებენ“.



ახალ რადარს უბილოტოს არ უნდა გამოეპაროს



კომპანია Northrop Grumman-მა მრავალფუნქციური რადარის HAMMR-ის (Highly Adaptable Multi-Mission Radar) სადემონსტრაციო გამოცდა მოაწყო, რომლის შექმნითაც აშშ-ის არმიაა დაინტერესებული.


რაკეტების, ჭურვების, ბომბების, შეუვლუმფრენებისა და თვითმფრინავების აღმოჩენის რადარი არიზონას პოლიგონზე გამოცდაეს.

ახალი რადარის დამონტაჟება ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე შეიძლება და მას ნებისმიერი მოძრაეი საჰაერო მინის აღმოჩენა შეუძლია.

HAMMR-ის საფუძველი რადიოლოკაციური სადგურია, რომლის მზრუნევი ცხაური საჰაერო სივრცის 360 გრადუსით სკანირებას უზრუნველყოფს.

მკანძმელები კომპანია რადარის ტექნიკურ მახასიათებლებს არ ამხაურებს, თუმცა ცნობილია, რომ რადარი პოულობს Osprey-ს, Raven-ის, Outlaw-ის, Scan Eagle-ს, Alpha 60-ის, Big Stick-ის, Bandito-ს და Intimidato-ს ტიპის მიგრე ზომის უბილოტო საფრენ აპარატებსაც კი. ამითგან ყველაზე მოძვროს სივრცე 36,6 სმ-ია, ხოლო ფრთების გაქანია კი 51,8 სმ.

მორიგეანი სემინარი-კოვოზი



ვირჯინიის შტატში, ქალაქ კენტიკოში გამართულ გამოფენაზე, რომელიც აშშ-ის საზღვაო ქვეითთა თანამედროვე აღჭურვილობას ეძღვნებოდა, თანამედროვე რობოტი-სამიზნე წარადგინეს. შეიძლება ითქვას, ამ სახალკემ მისწანში სროლაში მომზადება სრულიად ახალ დონეზე აიყვანა.

ავსტრალიური კომპანია **Marathon Targets**-ის შექმნილი რობოტი დისტანციურად იმართება, აღჭურვილია დასპროგრამებული ბლოკით, ბორბლებითა და ადა-მიანის მანქანით ამ ყველაფრის წყალობით, „გონიერი სამიზნის“ სასურველი მიმართულებით, განსხვავებული სისწრაფით გადაადგილება შეიძლება.

ავსტრალიური სამიზნე-რო-

ბოტი საუკეთესო საშუალებაა სწრაფად მოსამზადებლად და შეიძლება ითქვას, დღეს ის ერთადერთია, რომელიც მოძრავი ადამიანისთვის ზუსტად სროლის სწავლის საშუალებას იძლევა.

Marathon Targets-ის რამდენიმე რობოტის გამოყენებით ქუჩაში მიმდინარე საომარი მოქმედებების „გაცოცხლებაც“ შეიძლება. წარმოიდგინეთ თამაში „მოზაანა“: დაიწყო სროლა, დაპროგრამებული „სამიზნეები“ კი სხვადასხვა მიმართულებით გარბიან და იმალებიან, ან პირიქით, შეტევებზე გადადიან. ყველაფერთან ერთად, ოპერატორს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მიზანში მორტყმული ტყვიების რაოდენობა, რის შემდეგაც მანქანი „მოკვდება“.

ინოვანი გეოგრაფიკი კიოპოსიას ახალი პრეპარატიმთ პერკივიან

თავდაცვის სფეროში კვლევებისა და გამოკვლევების ორგანიზაციამ (DRDO) მცენარეული სამკურნალო პრეპარატი შექმნა, რომელიც მითან რაიონში მყოფ ჯარისკაცებს ამტანობასა და ფიზიკურ შესაძლებლობებს უშლიერებს.

პრეპარატის შემადგენლობაში ანტიოქსიდანტები და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია, რომლებიც სისხლის მიმოქცევას, გულის, თირკმლებისა და ფელტების მუშაობას აუმჯობესებს და ჰაიპოქსიის (ჟანგბადის უკმარისობა) სიმპტომებს ხსნის.

ახალ პრეპარატს „პერფორმაქსი“ უწოდეს და მისი გამოცდა ინდოეთში, მოხალიჯ ჯარისკაცებზე უკვე დაიწყო, რომლებიც კადაკას მალაშმიან რაიონში არიან დაბანაკებული. მედიკამენტი ასევე დაურეგდათ ჯამუსა და ქაშმირის შტატების მთებში მყოფ სამხედროებს.



ავიანოვზე ჩინელი ზილოზი კაგავალზიკეიონ სისხევეა დააღალაზა



ჩინეთის ქალაქ სიანში გამართულ ავიანოვზე ბომბდამშენ-გამანადგურებელმა **Xian JH-7 Flying Leopard**-მა („მფრინავი ლეოპარდი“) კატასტროფა განიცადა, რის შედეგადაც ორიდან ერთი პილოტი დაიღუპა.

მას შემდეგ, რაც თვითმფრინავი მიწას დაენარცხა, მაყურებლებმა ცა-

ში მხოლოდ ერთ პარაშუტს მოკერეს თვალი. როგორც ჩანს, მეორე პილოტს კატაპულტირების სისტემა უმტყუნა, გადარჩენილს კი მხოლოდ მცირე დაზიანებები ჰქონდა.

ბომბდამშენი მაყურებლებისგან 2 კმ-ის დაშორებით ჩამოვარდა. რა გაზდა კატასტროფის მიზეზი, ტექნიკური გამოართობა თუ პილოტის შეცდომა,

ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ექსპერტები ორივე ძრავის ერთდროულად გათიშვას საკლებსავარაუდოდ მიიჩნევენ.

ჩინურ „მფრინავ ლეოპარდებზე“ მუშაობა ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო, ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებში კი გასული საუკუნის 90-იან წლებში მიიღეს.



„პაპერს“ კონკრეტში გამოვიჩნდა



ლევინდარულმა ჯეშმანმანქანა „პაპერ-მა“ ლამის 30 წელი იმსახურა აშშ-ის არმიამ და აი, ახლა მას შემცვლელი — ეკონომიური სამხედრო „ჯიბი“ FED Alpha გამოვიჩნდა.

ამერიკელებმა მცირეგაბარიტაინი „ვეველ-განმავლის“ პროექტირება და საველე პირობებში გამოცდა ინგლისურ კომპანია Ricard-ის მიანდევს, რომელმაც საქმეს თავი პირნათლად გაართვა, — ჯეშმანმანქანამ ვველა გამოცდა გაიარა და საგარეულოდ, უახლოეს ხანში აშშ-ის არმია შეიარაღებაში მიიღებს.

FED Alpha ბრწყინვალე მანევრულობით გამოირჩევა და ზედგამოჭრილია ქალაქში საბრძოლო ოპერაციებისთვის. მისი კიდევ ერთი უმთავრესი ღირსება საწვავის ეკონომიური ხარჯია.

ჯეშმანმანქანა გამოცდის მომდევნო ეტაპს უკვე საბრძოლო პირობებში გაივლის.

ბირთვული რაკეტებით სგზავრილავის წინააღმდეგ?

რუსულ გაზეთ „კომერსანტს“ თუ ვენდობით, რუსეთი აშშ-სა და NATO-სთან თანამშრომლობას კოსმოსური საფრთხეებისგან თავდაცვის სფეროში აპირებს. არაოფიციალური ცნობით, NATO-ში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა აშშ-სა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი სისტემის შექმნისკენ მოუწოდა, რომელიც მოკავშირეებს არა მხოლოდ რაკეტებისგან, ასტეროიდებისგანაც დაცევს.

ამ ინიციატივის კიდური სახელწოდება „დელამისის სტრატეგიული თავდაცვა“ და როგორც ამბობენ, პროექტის ავტორები პლანეტის კოსმოსური თავდაცვის ახალი სისტემის გაკონტროლებას გაეროს დააკისრებენ.

სხვათა შორის, ამ წლის აგვისტოში გაეროცვლდა ინფორმაცია, რომ რუსეთის სახელმწიფო სარაკეტო ცენტრი კოსმოსურ სისტემაზე მუშაობს, რომლითაც დელამისისთვის საშუაო ასტეროიდების ბირთვული იარაღით განადგურება შესაძლებელი უნდა გახდეს. სისტემის წინასწარი პროექტირება უკვე დასრულებულია.



ნიუ-მექსიკოში პირველი კოსმოპორგი გაიხსნა



ნიუ-მექსიკოში კაცობრიობის ისტორიაში პირველი კოსმოპორტი (Spaceport America) გაიხსნა, საიდანაც მგზავრებს კომპანია Virgin Galactic-ის ხომალდები მოემსახურებან.

კოსმოდრომი ბრიტანელმა მილიარდერმა რიჩარდ ბრენსონმა გახსნა, ცერემონიალს კი 150-მდე სტუმარი ესწრებოდა, რომელთაგან რამდენიმეს კოსმოსში სამოგზაუროდ ბილეთები უკვე შექმნილი აქვს.

ერთი კოსმოსური ექსკურსიის დიურბელება, რომელიც დაახლოებით 2,5 საათს გრძელდება (აქედან 5 წუთს მგზავრი უწინაოდ მდგომარეობაში გაატარებს), 200 ათასი აშშ დოლარი ღირს. ტურისტებს კოსმოსში აპარატი White Knight Two გაიყვანს. ეს დღე კი ბენდინერებს, საგარეულოდ, მომავალ წელს გაუთენდებათ, როდესაც აშშ-ის აჯაუწყება ბრენსონის კომპანიას ლიცენზიას მისცემს.

ტურმინალისა და ასაფრენი ბილიკის მშენებლობა 209 მილიონი დოლარი დაჯდა — თანხის ნაწილი აშშ-ის ბიუჯეტთან გამოიყო.

შავი ზღვა დაპირისპირების აკრედიტაციის სტრატეგია



ანგოსაკავებო სისხვევიანო აღჭურვილი ანტიკავშირული კავშირების შავ ზღვაზე სერიულ გამოყენება მოსკოვ შავი ზღვის ულომის გაღიარებაზე დაწყებინა

ოქტომბრის შუა რიცხვებში საკუთრივ ტერიტორიულ წყლებში მდებარე ვიზიტით ამერიკული სარაკეტო კრეისერი PHILIPPINE SEA (CG-58) შემოიდა.

სხვა დროს ეს მართლაც განსაკუთრებულად აღსანიშნავი იქნებოდა, რადგან „ტიკონდეროგას“ კლასის ეს ამერიკული სარაკეტო კრეისერი ერთ-ერთი მრისხანეა მსოფლიოში და ბირთვულქობინიანი ფრთოსანი რაკეტები-თაც არის შეიარაღებული.

თუმცა ხენსაცია არ შედგა, რადგან სულ სამოღე თვის წინ ბათუმს ერთმანეთის მივლებით უკვე სტუმრობდა ორი ასეთვე ამერიკული სარაკეტო კრეისერი — „ანციო“ (CH-68) და „მონტერეი“ (CG-61).

რამ განაპირობა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ერთმანეთის მივლებით სამი მსოფლიოში უძლიერესი წყალბაზა საბრძოლო ხომალდის სტუმრობა?

პასუხი ერთია — „ტიკონდეროგას“ კლასის ამერიკული სარაკეტო კრეისერები აღჭურვილია Aegis-ის ტიპის მრავალფუნქციური საბრძოლო საინფორმაციო-მართვის სისტემებით, რომელიც შედის SM-3 Standard-ის ტიპის ანტირაკეტების.

Aegis-ის სისტემას „არსენალი“ დაწვრილებით უკვე ვსწრდით, ამიტომაც მის ტაქტიკურ-ტექნიკურ მინა-

ცვლად აღარ შეგერდებით რუმინეთში და აშშ-ში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც შვიდწლიანი პირა ამ NATO-ს წევრ ქვეყანაში განთავსდება SM-3 ტიპის ანტირაკეტების სახმელეთო გასაშვები დანადგარები, ხოლო რუმინეთის სანაპიროსთან მორიგეობით იდრეიფებს Aegis-ის სისტემით აღჭურვილი „ტიკონდეროგას“ კლასის სარაკეტო კრეისერი, სწორედ ისეთები, რომლებმაც ბათუმში ვიზიტს მოუხშირეს.

თურქეთში ფაზიზებულიანტინიანი რადიოლოკატორის დაყენებაზე შეთანხმება, რუმინეთში ანტისარაკეტო სისტემის სახმელეთო და საზღვაო კომპონენტების განთავსება და ბოლოს ესპანეთში ქ. როტასთან ასევე Aegis-ის სისტემიანი კრეისერების ბაზის შექმნა იმაზე მიუთითებს, რომ აშშ-ებმა შეძლო 2011 წლის ბოლომდე ევროპაში ანტირაკეტო სისტემის ჩამოყალიბების პირველი ეტაპის შესრულება როგორც ეს დაგეგმილი იყო.

რუსეთის რეაქცია ასევე ადვილად პროგნოზირებადი გახლდათ — მოსკოვმა გააპროტესტა ევროპაში ანტისარაკეტო სისტემის კომპონენტების განთავსება. კრემლი ყველაზე მეტად სწორედ შუა ზღვაში ამერიკული სარაკეტო კრეისერების გამოჩენამ გააღიზიანა.

მოსკოვის შემოფიქრება წმინდა სამ-

ხედრო თვალსაზრისითაც გასაკებია — Aegis სისტემიანი შუა ზღვაში მოდრეიფე ამერიკულ სარაკეტო კრეისერს 320 კმ-ის რადიუსში შეუძლია მაღალ სიმაღლეზე საჰაერო-კოსმოსური ობიექტის აღმოჩენა, ანუ პერსპექტივაში რუსული საჰაერო სიძირის ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენა-განადგურებაც, რომ აღარაფერი ვთქვათ თვითმფრინავებზეც.

საგარეოდ, სწორედ ეს არის ის ძირითადი მიზეზი, რას გამოც მოსკოვმა რუსეთის შუა ზღვის ფლოტის გადართობა განიზრახა.

საერთოდ შუა ზღვის ფლოტი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებში ყველაზე მოძველებულია (ძიუხდავად ამისა, 2008 წლის აგვისტოში ამ ფლოტმა მაინც გადმოსხა საზღვაო დესანტი ოჩამჩირესთან) და მისი ხომალდების განახლებაზე მოსკოვმა აგვისტოს ომის შემდეგ აქტიურად დაიწყო ფიქრი.

რუსულ პრესაში გამოჩნდა არაოფიციალური მონაცემები, რომლის თანახმადც ფაზიზის წლებში შუა ზღვის ფლოტში ექვსი ფრეგატის (პროექტი 11356), ექვსი დიზელის-ძრავიანი წყალქვეშა ნავის (პროექტი 636 „ვარშავიანკა“), 29385 პროექტის კორეტების და ათამდე მცირე სარაკეტო და საარტილერიო ხომალდების

მოსკოვი შუე ზღვაში ექვსი ახეთი თანამედროვე ფრეგატის შემოყვანას აპირებს



გაგზავნას აპირებენ. 2030 წლისთვის რუსეთის შუე ზღვის ფლოტს 30-40 ერთეული თანამედროვე წყალზედა და წყალქვეშა საბრძოლო მცურავი საშუალება უნდა ჰყავდეს.

ახალი, რუსული 11356 პროექტის ფრეგატი საბრძოლო შესაძლებლობებით, რა თქმა უნდა, ჩამორჩება „ტიკონდეროგას“ ამერიკულ სარაკტოკრეისერებს, მაგრამ პენტაგონს მოუსწევს მხედველობაში მიიღოს რუსული ფრეგატის ახალი შეიარაღება — Club-N-ის ტიპის ზომადსაინააღმდეგო კომპლექსი, რომლის ზებეკერი-

თი ფრთოსანი რაკეტა 300 კმ-მდე მიფრინავს.

მოსკოს თავისი შუე ზღვის ფლოტის გადართმობის დაწყებაში კიდევ ერთი პრობლემა გამოუჩნდა, — კიევში ოფიციალური ვიზიტით მყოფი რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდუკოვი იმედოვნებდა, რომ უკრაინულ კოლეგა მიხაილ ეველთან ხელს მოაწერდა უკრაინის სეკსტოპოლში ახალი რუსული ზომადსების შეყვანას.

თუმცა შეთანხმება არ შედგა, რადგან უკრაინულმა მხარემ პრინციპული

პოზიცია დაიკავა. კიევი მოითხოვს, მოსკომა დეტალურად დაიხაროს ინფორმაცია თუ რა კლასისა და ტიპის ახალი მცურავი საშუალებების ჩაყვანას აპირებს სეკსტოპოლში, რა საბრძოლო მონაცემები ექნებათ მათ და ა.შ.

მოსკოვი და კიევი, ალბათ, მაინც შეთანხმდებიან და რუსეთი შუე ზღვის ფლოტი გადართმობას დაიწყებს. ეს პროცესი შეიზღვისპირა საქართველოსთვის საზღვაო საფრთხეების გაზრდას გამოიწვევს, თუმცა რუსეთს შუე ზღვის ფლოტის გაძლიერების ძირითადი მიზანია არ დაუშვან შუე ზღვის აკვატორიაში აშშ-ისა და შესაბამისად, NATO-ს სამხედრო-საზღვაო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერება.

P.S. შუე ზღვის ფლოტის გადართმობის პროცესში მოსკოვი ოკუპირებული აფხაზეთის პორტებში (პირველ რიგში — რაზმიურში) აუცილებლად განათავსებს მცირე საბრძოლო მცურავ საშუალებებს (სარაკტო და საარტილერიო კატარღებს) და უფრო ინტენსიურად შეუდგება საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და სანაპირო ზოლის დაზვერვას.

მოსკოვში არ გამოიცხადებენ, რომ დროთა განმავლობაში საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მუდმივი საბრძოლო მორიგობაზე იდრეფონ იმ ამერიკულმა სამხედრო ზომადსებმა, რომლებიც ევროპაში ანტისარაკტო ფარის ერთ-ერთი კომპონენტი გახდებიან.

ირაკლი ალადაშვილი

Ticonderoga-ს კლასის ამერიკული სარაკტოკრეისერები შუე ზღვაში იდრეფებენ



მოკლული კადავის „სტრელაი“ თელ მსოფლიოს დაეშუქება



დასომილი კადავის არმიის საწყობებიდან გაიგზავნა ათასობით სუზენი „სტრელა“, რომელთა სერიზოზოვი მსოფლიოს ნაფიშიერი პეროპოტიდან პოკინილი საფიზიკო ლინიერი შიქილავა აღოჩნდა

კადავი მოკლეს, მისი რეჟიმი და-
ეცა, მაგრამ გამარჯვებულებმა თა-
ნამდროვე პანდორას ვუთი გააღეს,
რომლის საშინელი შედეგიდან ამიერ-
რიდან დაზღვეული არაფინაა — არც
პრეზიდენტები და არც ჩვეულებრივი
მოკვდეულები...

საქმე ის არის, რომ შუიარაღებულ-
მა ამბოხებულებმა ლიბიის არმიის
უპატრონოდ მიტოვებული საწყობები-
დან გაიტაცეს ათასობით „სტრელა“,
რომელთა კვლის მიგნება თითქმის
შუულებელია, სანამ ისინი თავის სა-
პაერო მსხვერპლს არ მოიხებნან.

პირველი შეშფოთება დასაუღლე-
თის დაზვერვამ ჯერ კიდევ მამის გა-
მოხატა, როდესაც კადაფი ტრიპოლის
ინარჩუნებდა. იმში გახვეული ლიბი-
ის ტერიტორიაზე გადაღებულ ვიდეო
და ფოტომასალებში ალაგ-ალაგ ჩან-
დნენ მხარზე მოგრძო მიღებგაღებუ-
ლი წვერგაბურბენილი პირები. მათი
იფრთხილეთიკაცია შეიძლება რთულია,
სამაგეროდ ადვილი ამოსაცნობი იყო
შეწავე ფერის ძილები — გადასატანი

საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **Стрела-2М**-ები!

გადასატანი საზენიტო საშუალებე-
ბის უკანონო გაერცელებას ყველა წამ-
ყვანი ქვეყნის ხელისუფლება უფრთხის
და ათულობით მილიონს არ იმურებს,
რომ გამოისყიდონ ან გაანადგურონ
ისინი.

თავის დროზე აშშ-ის ცენტრალურ-
მა სადაზვერუო სამმართველომ აღა-
ნელ მოჯაჰედებს გადასცა ათასობით
„სტინგერი“, რომლებმაც მართლაც
შეასრულეს მთავარი ამოცანა — საბ-
ჭოთა ავიაციის მოქმედება ნაკლებე-
ფექტური გახადეს.

სამაგეროდ საბჭოთა არმიის აე-
დნეთიდან გამოსვლის შემდეგ ამე-
რიკელი შვერეაგები „სტინგერებს“
სათითად ეძებდნენ და მოჯაჰედებს
აითათასობით დოლარს უხდიდნენ მათ
დასაბრუნებლად. მიუხედავად ამისა,
ათასამდე „სტინგერი“ მინც აღაღე-
თში დარჩა.

იგივე შეიძლება ითქვას საბჭოთა
„სტრელასა“ და „იგლებზე“, რომ-

ლებიც რუსულმა სპეცსამსახურებმა
და საზენიტოებმა აფხაზეთში ქართულ
ავიაციასთან საბრძოლველად გადას-
ცეს აფხაზ სუპერატისტებსა და ჩრდი-
ლოკავასიელ დაქირავებულებს. ერთი
წლის შემდეგ რამდენი „სტრელა“ მი-
უბრუნდათ უკან რუს პილოტებს ჩეჩ-
ნეთის ცაში, ალბათ, მხოლოდ მოსკოვ-
ში იციან.

გადასატანი სითბური დამიხნების
საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები გა-
მოირჩევა კომპაქტურობითა და მცირე
მასით, რაც ერთ კაცსაც აძლევს სა-
შუალებას დაახინონ ის ჩამოაგდოს
დაახლოებით 3 კმ სიმაღლეზე მფრენი
თვითმფრინავი და შეუუღმფრენი.

დიდი გამჭირაობა არ სჭირდება
იმის მიხედვრას, რომ ყველაზე ადვი-
ლად დასახინებელი ის თვითმფრინა-
ვები იქნება, რომლებიც აეროდრომზე
ეშვებიან ან ფრინდებიან, შეუუღმფრ-
ენებისთვის კი ასეთი საზენიტო რაე-
ტები ფრენის მარშრუტის თითქმის
მთელ გაყოლებასზე სახიფათო.



**თუკი დაკარგული
„სტრულები“
„ალ-ქაიდას“
ხელში აღმოჩნდა,
მსოფლიო დიდი
საფრთხის წინაშე
დადგება**

დასულებით მასშედიის ცნობით, კადაფის არმიის საწყობებში 20 ათასამდე საბჭოთა და ბულგარული Стрела-2M ინახებოდა, რომელთა ნახევარი, თითქმის ათი ათასი, დაკარგულია.

თუად ეს ციფრები ცოტა უნდობლობას იწვევს, რადგან 20 ათასი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი კადაფის რეჟიმს ნამდვილად არ ექნებოდა. საერთოდ თითოეულ ასეთ კომპლექსში ერთი გასაშვები და ორი საზენიტო რაკეტა შედის, თუმცა მწელი დასაჯერებელია, რომ ლიბიის არმიის საწყობებში ათი ათასი გასაშვები მრეწობილობაც ყოფილიყო.

2011 წლის დასაწყისში, სანამ კადაფის რეჟიმს დასულებით მხარდაჭერილი შეიარაღებული ოპოზიცია დაუპირისპირდებოდა, ლიბიის არმიის საწყობებში სხვადასხვა ტიპის ორი ათასამდე გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი თუ იქნებოდა. ამიტომაც ძალზე მწელად წარმოსადგენია, რომ ათი ათი „სტრელა“ გაიტაცეს.

თუმცა ეს ბერს არაფერს ცვლის, რადგან ათიოდე „სტრელასაც“ შეუძლია დიდი ტრაგედია დაატრიალოს.

დასულებითს პრესაში გაჟონილი ინფორმაციის თანახმად, NATO-ს სამხედრო კომიტეტის თვამჯდომარე, იტალიელი ადმირალი ჯამპაოლო დი პაოლო, რომელიც გერმანიის ბუნდესკრეტაგის გასაიდუმლოებულ სხდომაში მონაწილეობდა, გამოხატავდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემოერთებას კადაფის „სტრულებს“ დაკარგვასთან დაკავშირებით.

თავის მხრივ, ტრიპოლიში ჩასული

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი 10 მლნ დოლარის გამოყოფას დაჰპირდა ლიბიის დროებით მთავრობას, თუკი დაკარგულ „სტრულებს“ მოაგროვებენ. მანამდე აშშ-მა იმავე მიზნებისთვის 30 მლნ დოლარი გამოყო.

„სად „იმაღლებიან“ „სტრუმები““

„სტრულებს“ გაუჩინარების რამდენიმე ვარიანტი: მიტოვებულ სამხედრო საწყობებში ყველა შედიოდა. ბუღეინებს მათთვის ნაცნობი „კალაშნიკოები“ მიჰქონდათ. უფრო განათლებული ლიბიელები კი ისეთ იარაღს ეძებდნენ, რომლის გაყიდვას სარეზანად შეუძლებდნენ. უძრაველებსომ არც იცის „სტრელას“ გამოყენება, სამაგიეროდ გაუგია, რომ ამერიკელები ნაპოვნ საზენიტო რაკეტებში დოლარებს

იხდიან. ისინი დროებით ვადამალევენ ამ საზიფათო იარაღს და იმას გამოუჩნენ, ვინც მტრს გადახდის.

არადა, რეჟიმე ამერიკელი და ევროპელი სპეცსამსახურების აგენტების წინ შეიძლება „ალ-ქაიდას“ ემისრები აღმოჩნდნენ.

პოლკოვნიკი კადაფი „ალ-ქაიდას“ დაუძინებელი მტერი იყო. ერთ-ერთმა პირველმა დაგმო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები აშშ-ში, ხოლო 1998 წელს ოსამა ბინ ლადენის დაკავებაზე სანქცია გასცა (ეს მაშინ, რიფესაც ამერიკული სპეცსამსახურები ჯერ კიდევ შეგობობდნენ მომავალ მსოფლიო №1 ტერორისტთან).

„ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“ — ამ ფრთიანმა ფრზამ კადაფის რეჟიმს ვერ უშველა, რადგან აშშ-ის გარდა ლიბიელ პოლკოვნიკს „ალ-ქაიდაც“ ებრძოდა.

სუსებით შესაძლებელია, რომ კადაფის რეჟიმის დამხობაში მონაწილე „ალ-ქაიდას“ მებრძოლების ლიბიაში ჩასვლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ კადაფის „სტრულებს“ ხელში ჩაგდება იყო.

„ალ-ქაიდას“ არც „კალაშნიკოები“ აქლია და არც ყუმბარასტორცები, მაგამ მასშტაბური და რეზონანსული ტერორისტული აქტის მოწყობა სწორედ იმ საზენიტო „სტრულები“ შეიძლება, რომელიც დაახლოებით 4,2 კმ სიმაღლეა და 2,8 კმ სიმაღლემდე მფრენ სამეზურო თვითმფრინავს დაახიანებს ან სუელიც ჩამოაგდებს, ხოლო თუკი სამეზურო ლაინერში მათთვის საუფლებელი რომელიმე ქვეყნის პირველი პირიც იქნება, მაშინ საერთაშორისო ტერორიზმი დიდ გამარჯვებას იზეიმებს.

ირაკლი ალადაშვილი



კადაფის არმიის მიტოვებული საწყობებიდან „სტრულები“ ყველა მსურველს გაქვინდა

ივანიშვილის შვეულფრენები



სანამ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდოდა, ქართული ბიზნესში ბიძინა ივანიშვილი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა, თუმცა მისი საშვეულმფრენო „ეკადრიალა“ ქართულ ცაში არ იმალებოდა.

როგორც ჩანს, ბიზნესმენს ტექნიკური სიახლეების გაცნობა უყვარს და ცდილობს არ ჩამორჩეს სოფერებს. ამაზე მიუთითებს ის შვეულმფრენები, რომლებიც მან შეიძინა და როგორც ამბობენ, თავადვე მართავს. სხვათა შორის, შვეულმფრენის პილოტირების სწავლა უფრო მწვია, ვიდრე თვითმფრინავის მართვა, მით უმეტეს, როცა არც ისე ახალგაზრდა ხარ.

ბიზნესმენ ივანიშვილის ავიაპარკში არის „ეკროკოპტერის“ EC-145 და რუსული Ми-171. გასული წლის ზაფხულამდე ქართულ ცაში დაფრინავდა ასევე „ეკროკოპტერის“ EC-350, რომელმაც აერია განიცადა, როდესაც დაბალ სიმაღლეზე დასვლას სპორტივლის საფარეგლებს წაძღვდა. „ეკროკოპტერის“ EC-145 ერთ-ერთი სრულყოფილ და კარგ სამართავ აპარატად ითვლება მცირე ზომის შვეულმფრენების კლასში.

EC-145-ს გერმანული ფესვები აქვს, მის „წინაპარდ“ ითვლება შვეულმფრენი BK-117, რომელიც გერმანულმა MBB-მ და იაპონურმა Kawasaki-მ გასული საუკუნის .70-იან წლებში შექმნეს ცნობილი გერმანული შვეულმფრენის Bo-105-ის ბაზაზე. პირველი EC-145-ები 1997 წლის

ბოლოს ფრანგული Securite Civile-ს სამსახურმა ფრანგულ-გერმანულ ერთობლივ კონცერნ Eurocopter-ს შეუკვია. ახალი შვეულმფრენის პრემიერა ლას-ვეგასის გამოფენაზე 2000 წელს შედგა. EC-145-ის ფასი სტანდარტულ კომპლექტაციით 5,3 მლნ დოლარს შეადგენდა.

„ეკროკოპტერის“ ეს შვეულმფრენი პრაქტიკულობითა და საიმედოობის წყალობით პოპულარულია როგორც სახელმწიფო სამსახურულ სამსახურებში, ისე ბიზნესმენებს შორის.

უფრო მეტიც, EC-145 არის ერთ-ერთი პირველი ევროპული შვეულმფრენი, რომლის სამხედრო მოდიფიკაცია შეიარაღებაში პენტაგონშიც მიიღო.

პირველი საცდელი გაფრენა 2006 წელს შესრულდა EC-145-ის ამერიკულმა სამხედრო ვარიანტმა UH-72 Lacota-მ, რომელსაც 9 სრულად ეკიპირებულა ჯარისკაცის გადაყვანა შეუძლია.

აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს დაეკავშირა აქეთ 332 ცალი UH-72 Lacota-ის შექმნა, რის შემდეგაც ამ ტიპის შვეულმფრენები ამერიკულ არმიასში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება.

მეორე შვეულმფრენი, რომელსაც ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი იყენებს, რუსული Ми-171-ია, რომელიც სამხედრო Ми-8АМТ-ს საექსპორტოდ განკუთვნილი სამიქალაქი მოდიფიკაციაა. ივანიშვილის Ми-171-ის სალო-

ჩაჩედილონი: მრავალდანიშნულების შვეულმფრენი EC-145-ის სიგრძე — 13 მ-ს, ხოლო სიმაღლე კი 3,85 მ-ს შეადგენს. მთავარი ბრანხის დიამეტრი 11 მ-ია, კუდის საჭის ბრანხისა კი 1,96 მ. ცარიული შვეულმფრენი 2620 კგ-ს იწონის. მისი მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 3650 კგ-მდე აღის. საფრენი აპარატის ავზებში 750 ლიტრი საავიაციო ნავთი ეტევს. შვეულმფრენს ორი ტურბოპროპანაიანი ძრავა აქვს. EC-145-ს მაქსიმალური 295 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია, კრეისერული სიჩქარე 250 კმ/სთ-ითა განსაზღვრულია. შვეულმფრენი საწვავის ერთი გაწვავით 650 კმ-ს ფარავს. ფრენის ხანგრძლივობა 2,4 სთ-ს აღწევს. ფრენის სიმაღლე ჭერი (დინამიკური) 5 კმ-მდეა, სტატიკური კი მხოლოდ 3,8 კმ-მდე. შვეულმფრენის ეკიპაჟი ერთი ან ორი პილოტიდან შედგება, სალონი 8-11 მგზავრი ეტევა.

ნი ძალზე კომფორტულია და თავის დროზე საავიაციო სექციის სტეპი კამათობდნენ კიდეც, თუ ვისი შვეულმფრენის სალონი იყო უფრო კეთილმოწყობილი — ბიძინა ივანიშვილის Ми-171-ისა თუ ბადრი პატარკაციშვილის Ми-8МТ-ბა.

ბიძინა ივანიშვილს ორივე შვეულმფრენი აღჭურვილია საპაერო თავდაცვის თანამედროვე აპარატურით, რომელიც ინფრაწითელ დიაპაზონში აღმოაჩენს საზენიტო რაკეტის სტარტისას მისი ძრავიდან გამოტყორცნილ მაღალტემპერატურულ ალს და პილოტს ატყობინებს, თუ რა სიძირიდან

EC-350



EC-350-ი შესაწამლი აპარატურით აღარამდე და მის შემდეგ (შუა სურათი)

და რა მიმართულებით იქნა გაშუებული საზენიტო რაკეტა. ამის შემდეგ შეუღლმფრენის გვერდებზე დაყენებული სპეციალური მიწვობილობებიდან გამოიტყორცნება მცირე ზომის რაკეტები, რომლებიც დიდი სიმაღლეზე



გამოყოფით იწვიან და „იზიდავენ“ საზენიტო რაკეტის სითბური დამაზნების მიწვობილობას.

ასეთი ანტისარაკეტო აპარატურა ძვირი სიახუნებაა და ისინი ჯერ კიდევ არა აქვს ბევრი ქვეყნის პრეზიდენტის შეუღლმფრენებსაც კი. როგორც ამობენ, ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა თავის დროზე ითხი ასეთი სისტემა შეიძინა და ორი მათგანი სახელმწიფოს გადასცა პრეზიდენტის მომსახურე ორ შეუღლმფრენზე დასაყენებლად.

ირაკლი ალადაშვილი

ჩვენი დონი: Ми-171-ის სა-მოქალაქო ვარიანტი განკუთვნილია 26 მგზავრის გადასაყვანად, სალონურ მოდიფიკაციაში კი შემცირებულია მგზავრების რიცხვი, სამაგიეროდ, იზრდება კომფორტულობა. შეუღლმფრენის მაქსიმალური ასაფრენი მასა 12 ტონამდეა. მას ორი ტურბოპროპულსიანი ძრავა აქვს (ითოთუეული 2200 ც.ხ.ძ-ის სიმძლავრის) და მაქსიმალური 250 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. მას აფრენა 5 კმ სიმაღლეზე შეუძლია. ფრენის სიშორე 650 კმ-ითაა განსაზღვრული. შეუღლმფრენის სიგრძე 18,6 მ-ია, სიმაღლე — 4,7 მ, სიგანე — 2,5 მ.

Ми-171



ანტიტერორისტული სწავლება თუ ისევ იარაღის ჟღარკანი?



საქართველოს ჩრდილო საზღვრების მიმდებარე რაიონებსა და ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალები სწავლებას რეგულარულად, ერთიმეორის მიყოლებით ატარებენ.

აპოცანებაი სამართლ-საპარტისო ელემენტები

ითიუელ სწავლებაზე დასამუშავებელ აპოცანებში მთავარი ადგილი უკავია ტერორიზმთან ბრძოლას, რომელიც რუსეთის ჩრდილო კავკასიის ფედერალური ოლქისთვის ყველდღიურ სინამდვილედ გადაიქცა.

სამხედროები ანტიტერორისტულ მოქმედებებთან ერთად იმუდროულად საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გაძლიერების ღონისძიებებსაც ამუშავენ.

ზაფხულში რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტენსივის, ყაბარღო-ბალყარეთის მონაკვეთებზე ფედერალური უშიშროების სამსახურის მესაზღვრეებმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ქვედანაყოფებმა სწავლება „კავკაზ-2011“-ზე საზღვრის დასაცავ ერთობლე მოქმედებებში იარაღიშეს.

3-13 ოქტომბერს სამეთაურო-სამტაბო სწავლებას შეიარაღებული ძალების სამხრეთის სამხედრო ოლქის სარდალმა, პირადად გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრ გალკინმა უხელმძღვანელა.

58-ე არმიის სამხედრო მმართველი

ლობის, შენაერთების, სამხედრო ნაწილებისა და ოლქის ორგანოთა 15 წარმომადგენელმა დაამუშავა შემდეგი ამოცანები: ტერორისტული საფრთხის აღკვეთისთვის შენაერთებისა და ნაწილების მზადყოფნა, ჯარების მობილური გადაყვანა სამთო მასივების ძნელად მისადგომ რაიონებში, დეალების შესასრულებელ რაიონში ქვედანაყოფთა მართვა, ურთიერთმოქმედების ორგანიზაციული წესი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ფედერალური უშიშროების სამსახურისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურებთან.

შემოქმდა ტერორიზმთან ბრძოლაში ჯარების მართვის სისტემის ეფექტურობა და შეფასდა ჯარების მართვის ახალი ავტომატიზებული სისტემის პრაქტიკული შესაძლებლობები.

აპოცანათა ჩამონათვლიდან ჩანს, რომ სწავლების მთავარი მიზანი კავკასიის მიდებში საქართველო-რუსეთის საზღვრის ახლოს მოქმედებათა სრულყოფა იყო.

ეს კი ნიშნავს, რომ მოსკოვი საქართველოს ისევ მტრულ ქვეყნად აღიქვამს და არმიის მომზადებაც იმ საფრთხეთა გათვალისწინებით მიმდინარეობს, რომლებიც შეიძლება კავკასიის სამხრეთიდან მოდიოდეს. რუსი

სამხედროები კი ამ საფრთხეთა შორის ხელავენ:

- ჩრდილოეთ კავკასიაში დაზვერვის მიზნით ქართული სპეცრაზმების შეღწევის შესაძლებლობას;

- უბილოტო საფრენი აპარატების ჩრდილოეთ კავკასიის საპაერო სფეროებში ფრენას რუსეთის ჯარების დისლოკაციის ადგილების გამოყენების მიზნით;

- ჩრდილოეთ კავკასიაში ბოვეციებისა და რელიგიური ექსტრემისტებისთვის (რუსული ტერმინოლოგიით) საქართველოს ტერიტორიაზე ავშესაფრის მიცემასა და შემდეგ უკან დაბრუნებაში ხელშეწყობას;

ანტიქართული განწყობის გაძლიერებას ემსახურება რუსული ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა ცილისმწამებლური განცხადებები ბოვეციებისთვის დახმარების გაწევაზე და ამ მიზნით მიმდინარე ფართომასშტაბიანი საინფორმაციო-პროპაგანდისტული ომი.

ბოვეცთა ძებნის საბაბით საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ აქტიურობს რუსული სადაზვერუო ავიაცია, რომელიც არცთუ იშვიათად არღვევს სუვერენული ქვეყნის საპაერო სფეროს.

ამ დროს კი საქართველოსგან სრულიად დამოუკიდებლად ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარება არ იცვლება.

სამხრეთის სამხედრო ოლქში სწავლებები ერთმანეთს ენაცვლება



**დანაპარვის მიუხედავად,
გომეშიკით რაოდენობა
არ მცირდება**

ჩრდილოკავკასიელი ბოვეეების მხარდაჭერაში თბილისის დადანაშაულებასთან ერთად ცნობილი ხდება, რომ ბოვეეები აფხაზეთის ტერიტორიაზე თავს არცთუ ურიგოდ გრძობდნენ.

18 ოქტომბერს ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის უმაღლესმა სასამართლომ 29 რელიგიურ ექსტრემისტს განაჩენი გამოუტანა. ისინი ბრალდებული არიან უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაში, იარაღის უკანონო ბრუნვაში, მართლწესრიგის ორგანიზაცია თანამშრომლების სიცოცხლის ხელყოფასა და შეიარაღებული აჯანყებისთვის მზადებაში.

სასამართლოს გადაწყვეტილებით 23 მათგანს 7-დან 14 წელი მიეზავა, ხოლო დანარჩენები გაათავისუფლეს.

ეს საქმე 2007 წლის მაისში აღიძრა და საინტერესოა იმით, რომ ამ ფეკუმმა 2006 წლის ნოემბერსა და 2007 წლის სექტემბერში მომზადება ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის მოსახლერე აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბანაკში გააიარა, საიდანაც ყარაჩაეთ-ჩერქეზეთში გადადიოდნენ და იქ თავდასხმებს აწყობდნენ.

ეს ის დრო იყო, როცა აფხაზეთს ე.წ. რუსული „სამშვიდობო ძალები“ აკონტროლებდნენ, ხოლო სეპარატისტულ ხელისუფლებას მოსკოვი მართავდა.

რამდენი ბოვეეი აფერებს თავს აფ-

ხაზეთს დღეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ რუსეთის ოფიციალური პირები რაღაც ციფრებს მაინც ასახელებენ.

2009 წლის მაისში რუსეთის პროკურატურის საგამომიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბასტრიკინმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არანაკლებ 1500 ბოვეეი მოქმედებდა.

ცოტა ხნის წინ კი ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ალექსანდრ ხლოპინინის თქმით, ფედერალურ ძალებს არანაკ-

ლებ ათასი ბოვეეი ებრძოდა. ბოვეეებს 90%-ით ადგილობრივი მცირე ბიზნესი აფინანსებს, ხოლო დანარჩენი თანხა კი საზღვარგარეთიდან შემოდის.

ათასი ბოვეეი, ალბათ, რეალობასთან ახლოს არის, რადგან არასრული მონაცემებით 2009 წელს ფედერალურმა ძალებმა დაახლოებით 850 ბოვეეი და მათი ხელშემწყობი პირი მოკლეს ან დააკავეს.

ამავე მანქანებელმა 2010 წელს დაახლოებით 800 კაცი, ხოლო მიმდინარე წლის სექტემბერში დაახლოებით 600 კაცი შეადგინა.

ბოვეეები თავშესაფარს ოკუპირებული აფხაზეთის ტყეებშიც პოულობენ



გამოდის, ბოლო სამი წლის განმავლობაში ფედერალებს ყოველწლიურად დაახლოებით 2 ათასამდე ჩრდილოკავკასიელი ებრძვის.

სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშების წინ უახლესი შეიარაღებული და სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი მრავალრიცხოვანი რუსეთის არმია და შინაგანი ჯარი ანტიტერორისტულ ბრძოლაში გარდატეხის შეტანას ვერ ახერხებს, რომ არაფერი ვთქვათ საბოლოო გამარჯვებაზე.

ახალი ტაქტიკა და მუსაპლო უმღამობა

მოსკომა ჩრდილო კავკასიაში ომის ტაქტიკა შეცვალა, მარცხის მიზეზს საქართველოში ეძებს, ხოლო თავისი საქმის გასაკეთებლად და ბოვეციბთან საბრძოლველად ისევ კავკასიელებისგან ჩამოყალიბებული ფორმირებები გამოჰყავს.

ფურნალ „არსენალიში“ უკვე დაიბეჭდა სტატიები 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილე ჩეჩენურ და ოსურ ბატალიონებზე, აგრეთვე დაღესტნურ 450-ე ცალკეულ სპეციალურ მოტორიზებულ ბატალიონზე.

რამდენიმე წლის წინ ცნობილი გახდა იმ შეიარაღებული ძაღის შესახებ, რომელიც მიუღ ამრბას წარმოადგენს და ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურის, რამზან კადიროვის განკარგულებაშია. ამ არმიის ძირითადი ბირთვი ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში შედის და აერთიანებს: ნავთობჭაბურღილების არასაუწყებო დაცვის პოლკს (2.400-3.000 კაცი), სპეცდანიშნულების პოლკს (1.600-1.800 კაცი), საპატრულო სამსახურის 2 პოლკს (2.400-3.000 კაცი), ომონს (300 კაცი), კომუნდატურების დაცვის ასეულებსა (500-1.000 კაცი) და რამზან კადიროვის პირად დაცვას (500 კაცი);

გარდა ამისა, ჩეჩნებით არის დაკომპლექტებული რუსეთის შინაგანი ჯარის 46-ე ოპერატიული დანიშნულების ბრიგადაში შემავალი — რუსეთის გმირის აჰმად-ჰაჯი კადიროვის სახელობის 249-ე ცალკეული სპეციალური მოტორიზებული ბატალიონი „სევერი“ და 248-ე ცალკეული სპეციალური მოტორიზებული ბატალიონი „ოუკი“. ორივე ბატალიონში დაახლოებით 2 ათასამდე კაცი მსახურობს.

კადიროვის მოწინააღმდეგე იამადაეების კლანის მებრძოლებით დაკომპლექტებული ბატალიონები „ვოსტოკი“ და „ზაადი“ გაუქმდა. მათ მაგფრად შექმნილი სპეცასეულები



რამზან კადიროვის პირადი არმიის ერთ-ერთი ქვედანაყოფი

300-500 მებრძოლს ითვლიან და რუსეთის არმიის ერთ-ერთი მოტორიზოვანი ბრიგადაში შედიან.

სულ კადიროვის განკარგულებაში დაახლოებით 10-12 ათასი მებრძოლია და ეს შეიარაღებული ძაღა რიცხოვნობით ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოჰარ დუდაევის არმიას არაფერით ჩამოუვარდება.

კადიროვის არმიაში მდიდარი საბრძოლო გამოცდილებისა ოფიცერების მქონე ბევრი ყოფილი ბოვეცი მსახურობს, რომლებიც ჩეჩნური

ფორმირებების რიგებში იბრძოდნენ ყარაბაღისა და აფხაზეთის 1992-93 წლების ომებში, 2008 წლის აგვისტოს ომში და ა.შ.

მოსკოში უკვე ლაპარაკია, რომ ჩეჩენურმა ფორმირებებმა მიუღ კავკასიაში სადამსჯელო ძაღის დანიშნულება უნდა შეასრულონ და კრემლის პოლიტიკა გაატარონ. მით უფრო, რომ ჩეჩნური სამხედრო მანქანა რუსეთის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე არსებობს.

თხზურ ჩარანიძე

რუს სამხედროებს ჩრდილოკავკასიელი ბოვეციბი მიწისქვეშა ბუნკერებში ემალებიან, სადაც არსებობს მინიმალური პირობები შექმნილი





სვალინ-ბერიას აგენტი ქართულ ემიგრაციაში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ.
„არსენალი“ N16-21, 2011)

ქართველი აგენტების „ომერისა“ და „59“-ის პიროვნებითა საიდენტოფიკაციოდ აუცილებელია სხვა საარქივო და მექანიკური წყაროების მოძიება. თუმცა მათი გამოყენება ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო ძალზე ფრთხილ მიდგომას მოითხოვს.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო წყარო ლეონტი ბერიას ერთგული კადრის, გენერალ-ლეიტენანტ პავლე სუდოპლატოვის მოგონებებია, რომლებიც რამდენიმე წინადა 90-იანი წლების მეორე ნახევარში გამოიქცა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხები განხილულია მოგონებებში: Разные дни тайной войны и дипломатии – 1941 год, სადაც მე-14 თავში Бакинские нефтепромыслы под прицелом — სუდოპლატოვი აგენტების: „ომერისა“ და „59“-ის შესახებ საუბრობს.

ირკვევა, რომ ორი საბჭოთა აგენტის წლებს განსწავლობაში მუშაობდა კავკასიური, კერძოდ კი ქართული ემიგრაციის გარემოცვაში. სუდოპლატოვის

ინფორმაციით, ესენი იყვნენ: „ომერი“ და „59“-ე — ქართული ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე ГИГЕЛИЯ (ასეა სუდოპლატოვის მოგონებებში).

„გიგელიასთან პირადად ჩვენს რეზიდენტებს (ვასილესკი და გუზოესკი) კონტაქტი ჰქონდათ პარიზში 1939-41 წწ. და 1944-46 წწ.-ებში. კავკასიის საკითხების მნიშვნელობამ განსაკუთრებით ომის დაწყების წინ წამოიწია: გვაძლიერებდა ჩვენი რეზიდენტურები თურქეთსა და საფრანგეთში. კავკასიური მიმართულება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ქართული ემიგრაციის შესახებ ინფორმაცია პირადად სტალინთან მიდიოდა ომის დაწყებამდე და ომის განმავლობაშიც“, — აღნიშნავს სუდოპლატოვი.

მოელი ამ ნაწევრებიდან ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ამ პერიოდში საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (მაშინ სუდოპლატოვი საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელის პავლე ფიტინის მოადგილე იყო) შიფრავს აგენტ „59“-ის ნამდვილ ვინაობას და მას „გ ი გ ე ლ ი ა ს“ გვათხრობს მოიხსენიებს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აქ გენერალი ცდება და ტექსტში „გ ი გ ე ლ ი ა“ უნდა იკითხებოდეს.

ამ გვარის მქონე პირი, კერძოდ კი ემიგრანტი და საბჭოთა დაზვერვის აგენტი გიორგი გველია კი კარგადაა ცნობილი სპეცსამსახურების ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

საბარამო დაზვერვის მიმართ აღვიანსებად სვავდა

ოკეპევი ხელმძღვანელობას (მათგან კი ოსებ სტალინიც) ამოწურავს ინფორმაცია ჰქონდა ქართველი ემიგრანტების შესახებ.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის ოპერატიული-აგენტურული საქმიანობა ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ შემდეგ ოპერაციების თივლისწინება:

— ქართული ემიგრაციის რიგებში ქველი აგენტურის გააქტიურება;

ქართული და რუსი ბოლშევიკები ჯერ კიდევ 1918 წლიდან ატარებდნენ „ლევანდირების ოპერაციებს“ და სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების), ეროვნულ-დემოკრატების (ედა), სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერები) და სხვა პარტიებში მყოფი ქართველი ეროვნების აგენტურის „ღრმა დაშფერვაში“ გადაყვანას.

1921 წლის მარტიდან ეს აგენტებიც თანდათან ემიგრაციაში გაკვეთნა-

ქართველოს კანონიერ ხელისუფლებას და საზღვარგარეთ განაგრძეს აგენტურული მუშაობა.

ქართული ემიგრაციის რიგებში ახალი აგენტურის შვებულება;

წილი არბიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბევრ პარტიოტთან ერთად საზღვარგარეთ ემიგრაციაში საკმაოდ ბევრი ჩეკას ახალი აგენტიც „წვიდა“. სხვადასხვა წელს საქართველოს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის აგენტები ქართული ემიგრაციის რიგებს „ორგანულად შეერწყნენ“ და ოპერატიული დაჯალბების შესრულებას შეუდგნენ.

ქართული ემიგრაციის რიგებში აგენტურის გადამბრუნება;

ემიგრაციის რიგებში პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, მატერიალურმა სიდუხჭირამ და ნოსტალგიამ ბევრ ემიგრანტს თავის გადარჩენისა და უკან დაბრუნების სურვილი გაუღვივა. ეს კი ბოლშევიკების წინაშე დამსახურებისა და ემიგრაციაში მათი დაჯალბების შესრულების გარეშე მიუღწეველი ოცნება იყო.

ქართველი ემიგრანტების გადამბრუნება უპირატესად მანტაყით ხდებოდა. ბევრ მათგანს საქართველოში ოჯახის წევრები და ახლი ნათესავები ჰყვოდა, რამაც ბოლშევიკებს საშუალება მისცა მათზე ზემოქმედების გზით ემიგრაციაში მყოფი ქართველი სამხედრო თუ პო-

ლიტვიკური მოღვაწეებიდან ბევრი ცნობილი პირი გადაბრუნებინაო.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ჩეკისტების პირველი თაობა ძალზე ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო. ყოველგვარი სპეციალური განათლების გარეშე საზღვარგარეთი სადაზვერვო მისიის მათი მშენებელია, ბუნებრივია, დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ხშირად გადაწყვეტი ახალგაზრდა ჩეკისტების ქართველ ემიგრანტებთან ნათესაური კავშირებიც გამხდარა.

1925 წელს პარიზში საქართველოს ჩეკას დაჯალბებით გიორგი გვეგელია გაემგზავრა. მისზე ძალზე სერიოზული იყო — „სწავლის გაგრძელება“. ცნობილია, რომ გვეგელიამ პირადად ლეონტი ბერიასგან მიიღო დაჯალბება ქართულ ემიგრაციაში, უპირველესად კი ყოფილი მთავრობის წევრებთან დაახლოებისა და მათზე თვალთვალის დაწესების შესახებ. ასევე ცნობილია, რომ გვეგელია ნათესაოდ ეკუთვნოდა თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ფუძემდებელ და უცუკელ თემჯომოშვიტ სპირიდონ კვიციანს, რომელიც 1923 წლიდან ემიგრაციაში საფრანგეთში იმყოფებოდა. სწორედ ამ გარემოებამ გადაწყვიტა გვეგელიას პერსონით ჩეკას დაიტყუროს.

20 წელზე მეტხანს გაგრძელდა გი-

ორგი გვეგელიას სადაზვერვო მისია. ის აქტიურად იყო ჩართული სადაზვერვო საქმიანობაში, ხოლო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საფრანგეთის ტერიტორიაზე მოქმედ პარტიზანულ შენაერთებში გერმანელებს ებრძოდა.

1945-48 წლებში გიორგი გვეგელია პარიზის რუსიზენტურის თანამშრომლებთან (გუზნოვსკი და თაიპე) ერთად ქართულ ემიგრანტულ წრეებში საბჭოთა კავშირში დასაბრუნებლად აგენტობა ეწეოდა.

ამჟვე მისნი საფრანგეთში ხშირად ჩადიოდა ლეონტი ბერიას კიდევ ერთი ნიღბით აღჭურვილი პირი — პეტრე შარია.

სუდოპლატოვის ინფორმაციით, საქართველოს ემიგრაციული მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მუშაობა ომის განმავლობაშიც გრძელდებოდა. პარიზში ომის დამთავრების შემდეგ მენშევიკებთან მოსალაპარაკებლად ჩავიდა ბერიასა და სტალინთან დაახლოებული პირი, რომელიც მათი ნიღბითაც სარგებლობდა — პეტრე ათანასეს ძე შარია. ის იყო პროფესორი, აკადემიკოსი და ემიგრაციაში მყოფი ქართველების დაბრუნებაზე დათანხმებას ცდილობდა.

სუდოპლატოვის სიტყვებით „ის იყო ფილოსოფოსი და მეცნიერი, რომელიც თავს უფლებას აძლევდა, სტალინთანაც კი ეკამათა ფილოსოფიურ

საბჭოთა ქვეყანა ლამაზი ფასადის მშენებლობას ცდილობდა, რომლის უკანაც ჩეკისტები უამრავ ბინძურ საქმეს აკეთებდნენ





ქართულ ემიგრაციაში „ენ-კა-ვე-დეს“ აგენტურის მუშაობის ერთ-ერთი ამოცანა ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნება იყო, სადაც მათ შემდგომში დღა-ტის მუხლით გასამართლება და ციხეები ელოდათ

საკითხებზე. ხშირად პროფესორი იმდენად გაცხარდებოდა კამათის დროს, რომ მას მაგდის ქვეშ ფეხზე აბიჯებდნენ, ოღონდ დაწყენარებიანია“.

ჩხივილი ლოსია: პეტრე შარია (1902-83 წწ.) ბოლშევიკების პარტიის წევრი 1920 წლიდან იყო. 1922-23 წწ. საქართველოს ჩეკაში მსახურობდა. შემდეგ წლებში მოსკოვსა და თბილისში სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოზეა. 1934 წლიდან კი უკვე პარტიულ სამსახურშია. 1936-38 წლებში საქართველოს კ(ბ) ცკ სკოლაშია და მეცნიერების განყოფილების გამგეა.

ლაგუნტი ბერიას ერთგული კადრი პეტრე შარია 1938 წლის სექტემბრიდან საბჭოთა ენ-კა-ვე-დეს ცენტრალურ აპარატში გადაიყვანეს და სამდინოს ხელმძღვანელად დანიშნეს. ამის შემდეგ, სუბლიტაციის მტკიცებით, სამდინოსში საქმიეობა სულ აირია და შარიას სამეცნიერო-მეოლოღურ სამუშაოზე დაბრუნება მოუხდა: ის ხელმძღვანელობდა ენ-კა-ვე-დეს სპეციალურ ბიუროს, რომელიც დიქტატორების დაშუშებასა და სადაზვერუო კონტრასადაზვერუო სამუშაოების შედგენა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზთან იყო დაკავშირებული. თუმცა ამ სფეროშიც კარგად ვერ გაერკვა და ომის პერიოდში საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა ჩაიბარა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბე-


რიას დაკლებით პეტრე შარია მიავლინეს პარიზში ქართველი ემიგრანტების სამშობლოში რეემიგრაციის, ანუ ჩამოსატყუებელი სპეცოპერაციის შესასრულებლად.

ომის შემდეგ, 1948 წლამდე, პეტრე შარია საქართველოს კ(ბ) ცკ-ს მდივანია. ამ პერიოდში ის დიდი მონღოების ებრძოდა ქართველ მეცნიერებსა და მწერლებს.

აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე იხსენებს, რომ შარიამ „შეუწყნარებლობა და მისიხანება გამოიხატა შალვა ნუცუბიძის წიგნის „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ საჯაროდ განხილვისას“. ასეთი შემთხვევა კი იმ პერიოდში ძალზე ბევრი იყო.

თუმცა სულ მალე პეტრე შარიას თავზეც შეიკრა შვიი დრუბლები. მისი გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად იდეალისტური პოემის ავტორობა და მისტიციზმი დასახელდა. სინამდვილეში კი როგორც ლაგუნტი ბერიას ერთგული კადრი, იმ რთულ პარტიულ ინტრიგებს შეეწირა, რომლებიც მოსკოვსა და თბილისში მიმდინარეობდა.

პეტრე შარია 1952 წლის თებერვალში სტალინის პირადი ვესკარგულების საფუძველზე დააკავეს როგორც ე.წ. „მკვრელთა საქმის“ აქტიური მონაწილე. საბჭოთა დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ 1953 წლის 10 აპრილს ბერიას ბრძანებით პეტრე შარია გათავისუფლეს და ციხიდან გამო-



გენერალმა სუბოლბატომა თავის მოგონებებში ქართველ აგენტებთან დაკავშირებით რიგი ეპიზოდები გაიხსენა

სული პირდაპირ სსრკ-ის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ლაგუნტი ბერიას თანამშემუქედ დანიშნა.

ორ თვეში ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ კვლავ დააპატიმრეს და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

1963 წელს გათავისუფლდა, მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ფილოსოფიის ინსტიტუტმა სამუშაოზე აყვანაზე უარი უთხრეს. ამის მიზეზი პეტრე შარიას წარსული და რთული პიროვნული თვისებები ყოფილა. ის გარდაიცვალა თბილისში, 1983 წელს.

დავუბრუნდეთ ისევ საბჭოთა აგენტ გიორგი გვეკლიას.

1948 წელს, მას შემდეგ, რაც გვეკლია ემიგრანტულ წრეებში საბოლოოდ გაიშვირა და სადაზვერუო საქმიანობის გაგრძელება პრაქტიკულად აღარ შეეძლო, საბჭოთა საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელობამ ის საქართველოში დააბრუნა.

სამი წლის შემდეგ, 1951 წლის 17 ნოემბერს, ე.წ. „მკვრელთა საქმის“ გამო სტალინის პირადი მოთხოვნით გვეკლია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა დააპატიმრეს — როგორც „სფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტ-კონტრრევოლუციონერების“ აგენტად. გვეკლია პატიმრობიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1953 წლის 14 დეკემბერს გათავისუფლეს.

ამჟამად წვეთვის ყუბაზე საინტერესოა გვეკლიას (სუბოლბატოვის მტკიცებით, აგენტ „59“-ის) ჯამშუქურა საქმიანობის 30-40-იანი წლების პერიოდი, რის შესახებაც სუბოლბა-

ტოვი ამგვარ ინფორმაციას გაწევდის: „59“-ე ჟორდანია მანიფესტით ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრა და ბერუთში ფრანგული ძალების მთავარსარდალ გენერალ ვეიგანს შეხვდა. თურქეთში ხვდებოდა სამხედრო ხელმძღვანელობასა და ანკარაში საფრანგეთის სამხედრო ატაშეს. „59“-ის საშუალებით ჩვენ შევიტყვეთ ინგლისელებისა და ფრანგების გეგმის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირზე შეტეგის ითვალისწინებდა, თუ ფინეთთან იმი გაჭიანურდებოდა და ამ საკითხზე თურქეთის მოღონების შესახებ“.

ეს ამონარიდი, ფაქტობრივად სიტყვასიტყვით ემთხვევა „ბერას დოკუმენტში“ მოყვანილ ტექსტს:

„1939 წლის სექტემბერში „59“-ე მენშვეიკების საზღვარგარეთის ბიუროს და პირადად ნოე ჟორდანია დაჯალბებით პარიზში აწარმოებდა მოლაპარაკებას საფრანგეთის, ინგლისისა და პოლონეთის წარმომადგენლებთან. მათ „59“-ს სირიაში გენერალ ვეიგანთან გამგზავრება, მასთან შეხვედრა და კავკასიის საქმეებში ექსპერტის ფუნქციის შესრულება შესთავაზეს.

გენერალი მაქსიმ ვეიგანი (1867-1965 წწ.) იმ პერიოდში ზმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო, ხოლო 1940 წლის ფლის-სექტემბერში ვეიგანს საფრანგეთის ვიშის მთავრობაში თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა.

ნოე ჟორდანია მანდატით „59“-ე ბერუთში გაემგზავრა და დაუკავშირდა ვეიგანს, რომელმაც მას სტამბოლში დანაკვირდება და მათი მითითებების მიხედვით მოქმედება შესთავაზა“.

და რაც მთავარია, „ბერას დოკუმენტი“ გვაძლევს ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას აგენტის ბიოგრაფიაზე. „59“-ს საქართველოს მენშვეიკური პარტიის აქტიური წევრია 1918 წლიდან და 1922 წელს ანტიმთავრობა საქმიანობისთვის ჩეკამ დააპატიმრა და ერთი წელი პატიმრობაში გაატარა. აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის მენშვეიკურ გამოსვლებში და იმავე წელს ემიგრაციაში საფრანგეთში წავიდა, სადაც 1930 წლიდან მენშვეიკების საზღვარგარეთის ბიუროს, ხოლო 1939 წლიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი იყო.

„სტამბოლში ჩასვლის შემდეგ, მალე პარიზიდან „კავკასიის კონფედერაციის საბჭოს“ თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელიანთან „59“-მა წინადადება მიიღო აზერბაიჯანის მუსავატელებს ხელმძღვანელ ზოსრო-ბეკ სულთანთან ერთად სტამბოლში „კავკასიის კონფედერაციის საბჭოს“ ფილიალის შექმნაზე. ამ ფილიალის აუცილებლობა ახლო აღმოსავლეთში ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანებით იყო მოტივირებული.

ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შედეგად 1939 წლის 26 დეკემბერს შეიქმნა „კავკასიის კონფედერაციის საბჭოს“ სტამბოლში ფილიალი, სადაც ქართველი მენშვეიკებიდან შევიდნენ: „59“-ს და ალექსანდრე გოზალშვილი... „59“-ს აგრეთვე ემიგრანტული ორგანიზაცია „პრომეთუს“ კომიტეტის წევრი იყო.

